

დანართი C1 საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა



სარჩევი

1	შესავალი და მიზნები	1
2	ქვეყნის შიგნით დაინტერესებულ მხარეებთან ESIA-ს წინასწარი კონსულტაციები და დაინტერესებული მხარეების მიმდინარე ჩართულობა	4
3	პროექტის აღწერა	5
3.1.	სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი	5
3.2.	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება	6
4	კონსულტაციების მიზნები	9
5	ნორმატიული და პოლიტიკური კონტექსტი	10
6	SCPX დაინტერესებული მხარეები	11
6.1	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია	11
6.1.1	SCPX პროექტის მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების იდენტიფიკაცია	11
7	მეთოდოლოგია	17
7.1	კონსულტაციის მეთოდები	17
7.2	საინსტრუქტაჟო მასალები და შეტყობინების გაგზავნა	19
7.3	ESIA ანგარიშის პროექტი: საჯარო განხილვა	19
7.4	საჯარო შეხვედრები	21
7.5	კონსულტაციის პროცესის შეჯამება	22
7.6	კონსულტაციები და დასახლებებთან ურთიერთობა წინასამშენებლო პერიოდში და მშენებლობის დროს	25
7.7	კონსულტაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები ექსპლუატაციის ფაზაზე	26
8	რესურსი და პასუხისმგებლობები	27
9	მონაცემთა მართვა	28
10	საჩივრის წარდგენის მექანიზმი	29
11	ანგარიშის წარდგენა	32
დანართი A:	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოგრამა	33
დანართი B:	PAC-ების ჩამონათვალი და PAC-ების საკონსულტაციო შეხვედრების კლასტერები და თარიღები	34
დანართი C:	დასახლებებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცელი - ადრეული კონსულტაციები	38
დანართი D:	სახელმძღვანელო რწმუნებულებისთვის საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ	41
დანართი E:	საჯარო განხილვის გამოცხადება	43
დანართი F:	დასახლებებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცელი– ESIA საჯარო განხილვა	45
დანართი G:	ESIA გამოხმაურების ფორმა	50
დანართი H:	ESIA საჯარო შეხვედრების პოსტერი	52

ცხრილები

ცხრილი 1:	დაინტერესებული მხარეები საქართველოს მთავრობიდან	12
ცხრილი 2:	ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა	13
ცხრილი 3:	კონსულტაციის მეთოდები	17
ცხრილი 4:	ESIA საჯარო განხილვის განცხადებები	20
ცხრილი 5:	ESIA საჯარო განხილვის განრიგი	21
ცხრილი 6:	კონსულტაციების შინაარსი და განრიგი	23
ცხრილი 7:	PCDP რესურსები და ვალდებულებები	27

სურათები

სურათი 1:	SCPX პროექტის მარშრუტი.....	5
სურათი 2:	ESIA-ს პროცესი.....	8
სურათი 3:	ESIA კონსულტაციების ეტაპები.....	17
სურათი 4:	საჩივრის წარდგენის მექანიზმი	30
სურათი 5:	საჩივრის ფორმა.....	31

1 შესავალი და მიზნები

წინამდებარე დოკუმენტი არის საქართველოში განსახორციელებელი სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP). BP ახორციელებს პროექტის მართვას რამდენიმე პარტნიორი კომპანიის სახელით, რამდენადაც ის წარმოადგენს სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) კომპანიის ტექნიკურ ოპერატორს.

ეს PCDP წარმოაჩენს და აღწერს დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის საზოგადოების წარმომადგენელთა) საჯარო განხილვისა და კონსულტაციების პროცედურებს, რომლებიც განხორციელდება, როგორც ESIA პროცესის შემადგენელი ნაწილი და აღნიშნავდა საჯარო განხილვასა და კონსულტაციებს, რომლებიც გამიზნული იყო წინასამშენებლო, სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზებისთვის. ტექსტის გასაადვილებლად, ამ დოკუმენტში ტერმინი „კონსულტაცია“ გამოყენებულია მთლიანად საჯარო განხილვებსა და კონსულტაციებთან დაკავშირებული საქმიანობის აღსანიშნავად. დაინტერესებული მხარის მიერ განხორციელებული კარგი კონსულტაცია ხელს უწყობს მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას დაინტერესებულ მხარეებთან, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე, და ქმნის პროექტების სათანადოდ შემუშავებისა და, შესაბამისად, განხორციელების წინაპირობას. იგი ამცირებს პროექტის დამტკიცებისა და ნებართვის გაცემის პროცედურების დაყოვნების რისკს, ასევე - სამუშაოების შესრულების წესის შეცვლისა და ინფრასტრუქტურის გადაკეთებისას დიდი დანახარჯების საჭიროებას. არსებობს რამდენიმე, საერთაშორისო დონეზე აღიარებული, პრინციპი, რომლებიც ეხება ასეთი სახის კონსულტაციების მომზადებასა და გამართვას, მაგალითისთვის, ასეთებია ის პრინციპები, რომლებიც წარმოდგენილია „საქმიანობის სტანდარტში 1“ სახელწოდებით „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებისა და რისკების შეფასება და მართვა“ (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, 2012). აღნიშნული „საქმიანობის სტანდარტი“, *სხვათა შორის*, ამტკიცებს, რომ დაინტერესებული მხარეები კონსულტაციებში უნდა ჩაებნენ ძალდატანების გარეშე, მათ უნდა მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც ისინი შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას პროექტთან დაკავშირებული მთავარი გადაწყვეტილებების მიღებამდე და, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

PCDP-ზე მუშაობა დაიწყო „სამუშაო სტანდარტის“ ოფიციალურად შემოღებამდე, თუმცა მოხდა PCDP-ს დახვეწა ისე, რომ იგი აღნიშნულ სტანდარტთან თავსებადი ყოფილიყო, განსაკუთრებით „დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმის“ თავისებურებებთან მიმართებაში, როგორც წარმოდგენილია „სამუშაო სტანდარტში 1“¹. ამასთან ერთად, PCDP იყენებს იმ გამოცდილებას, რომელიც BP-მ დააგროვა თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისა და მათთვის პრობლემური საკითხების შესწავლის პროცესში. BP საქართველოში 1990 წლის შუა პერიოდიდან მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში, მან, თავის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით, განახორციელა სრულმასშტაბიანი საკონსულტაციო პროგრამები დაინტერესებულ მხარეებთან. ამდენად, BP-მ შეძლო საუკეთესო ურთიერთობის

¹ „ინფორმირებული კონსულტაციისა და მასში მონაწილეობის“ პროცესის განხორციელება, როგორც ეს წარმოდგენილია „სამუშაო სტანდარტში“, არ იქნა მიჩნეული საჭიროდ, იმის გამო, რომ მოსალოდნელი ზემოქმედებების თავისებურებები ვერ აკმაყოფილებდნენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება აღნიშნული პროცესის გამოყენების სასარგებლოდ.

დამყარება დაინტერესებულ მხარეებთან, რაც საფუძვლად დაედება SCPX პროექტის განხორციელებას.

PCDP მომზადდა SCPX პროექტის ESIA პროცესის მხარდასაჭერად, რომელიც დაიწყო 2011 წლის პირველ კვარტალში. იგი დროდადრო გადაისინჯება, რათა მასში აისახოს SCPX პროექტში შეტანილი ცვლილებები და გათვალისწინებული იქნას ESIA-ზე მუშაობისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში მიღებული გაკვეთილები და გამოცდილება.

სამშენებლო კონტრაქტორი, რომელიც ასრულებს SCPX პროექტს, ვალდებული იქნება, BP-სთან ერთად გააგრძელოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. BP-სთან ერთად აღნიშნული კონტრაქტორი დიდ როლს შეასრულებს ESIA ანგარიშში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების საქმეში.

SCPX პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალში, სხვებთან ერთად, შედის საქართველოს მთავრობის სამინისტროები და სააგენტოები (განსაკუთრებით მარეგულირებელი ორგანოები), არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs) და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PACs). წინამდებარე PCDP წარმოგვიდგენს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გეგმას, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- **ინფორმირება (1):** დაინტერესებული მხარეებისთვის ზუსტი, შესაბამისი, დროული და, კულტურული თვალსაზრისით მისაღები ინფორმაციის მიწოდება SCPX პროექტის, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების, ასევე, ESIA პროცესის შესახებ
- **ჩართულობა:** დაინტერესებული მხარეებისთვის აზრისა და წუხილის გამოხატვის საშუალების მიცემა SCPX პროექტთან დაკავშირებით და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მოპოვება როგორც პროექტის, ასევე პროექტიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგების მართვის საკითხებთან მიმართებაში.
- **გაგება:** SCPX პროექტის ჯგუფისთვის დახმარების გაწევა რათა ჯგუფის წევრების მიერ ზუსტად იქნას გაგებული დაინტერესებულ მხარეთა წუხილის მიზეზები და მათი პრიორიტეტები.
- **განხილვა:** აღნიშნული წუხილის მიზეზებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება SCPX პროექტის დიზაინის შემუშავების, მშენებლობის წარმოებისა და სამუშაოების შესრულების პროცესში.
- **ინფორმირება (2):** პროექტის მსვლელობისას დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.

სქემაზე ნაჩვენებია აღნიშნული ციკლური პროცესი:



PCDP საშუალებას აძლევს BP-ს, მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მის მიერ SCPX პროექტის მომზადება, მშენებლობის წარმართვა და სამუშაოების შესრულება სრულ თანხვედრაშია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) მოთხოვნებთან, რამდენადაც SCP მონაწილეებსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ESIA პროცესში და შეესაბამება BP პოლიტიკასა და პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს. PCDP ამოცანები დეტალურად წარმოდგენილია მე-4 თავში.

2 ქვეყნის შიგნით დაინტერესებულ მხარეებთან ESIA-ს წინასწარი კონსულტაციები და დაინტერესებული მხარეების მიმდინარე ჩართულობა

BP საქართველოში 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში მან პროექტებთან დაკავშირებით ფართო საკონსულტაციო სამუშაოები ჩაატარა დაინტერესებულ მხარეებთან. კერძოდ, ESIA-სთან დაკავშირებული საკონსულტაციო სამუშაოები ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან ისეთ განხორციელებულ პროექტებზე, როგორიცაა: „დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი“ (WREP), BTC და SCP მილსადენები (მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად), სუფსის ტერმინალი და არასაშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი რუსთავთან ახლოს. ამდენად, BP-ს უკვე ჩამოყალიბებული აქვს კარგი ურთიერთობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან.

WREP, BTC და SCP პროექტების განხორციელებისას შესრულდა მსხვილმასშტაბიანი საკონსულტაციო პროგრამები, რომლებშიც, *სხვებთან ერთად*, ჩართულები იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტების გასწვრივ მდებარე დასახლებული პუნქტები.

WREP, BTC და SCP მილსადენების მუშაობასთან დაკავშირებული მიმდინარე კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მოიცავს:

- რეგულარულ საინფორმაციო ურთიერთობას PAC წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მათ შორის შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა მილსადენის ექსპლუატაციის საკითხი; სათემო უსაფრთხოება და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვების საკითხი
- საჩივრის პროცედურის შესრულებას, ინდივიდუალური, ჯგუფური თუ სათემო საჩივრების აღრიცხვისა და მათზე რეაგირების მიზნით
- რეგულარულ დიალოგს ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მდგრადი განვითარების ინიციატივების ფარგლებში
- რეგულარულ ურთიერთობებს მედია საშუალებებთან მრგვალ მაგიდასთან შეხვედრების მოწყობითა და სხვა ვიზიტებით.

SCPX პროექტის საკონსულტაციო პროგრამა ეფუძნება WREP და BTC/SCP პროექტებში მიღებულ გამოცდილებას და უკვე კარგად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას BP-ის და დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ნარდევანს შორის და დამთავრდება საკომპრესორო სადგურთან. მუშათა ბანაკები, მიწების სასაწყობე ადგილები და სასაწყობე ეზოები იდენტიფიცირებული იქნა CSG1-თან, CSG2-თან და CSG2 მისასვლელ გზასთან, ხოლო წნევის გამზომი და მარეგულირებელი სადგური (PRMS) ობიექტის მშენებლობისთვის და მილსადენის ბანაკი, სასაწყობე ტერიტორია და სარკინიგზო გადმოტვირთვის მოედანი რუსთავის მახლობლად. ამ დამხმარე ინფრასტრუქტურის ადგილებთან ახლოს მდებარე პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების (PAC) უმეტესობასთან კონსულტაციები ჩატარდა ადრეული კონსულტაციების სტადიაზე გამომდინარე იქიდან, რომ ეს დასახლებები მდებარეობს პროექტის მუდმივი კვალის სიახლოვეს. დამატებითი PAC-ები იდენტიფიცირებული იქნა CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო ბანაკის და მილსადენის სამშენებლო ბანაკის ახლოს და ჩატარდა მათთან კონსულტაციები ESIA საჯარო განხილვის პერიოდში.

პროექტის დიზაინის სრულყოფისა და დეტალური ფორმით შემუშავების პარალელურად, მისასვლელი გზებისთვის დამატებითი ადგილის განსაზღვრის შემდეგ საკონსულტაციო სამუშაოები, საჭიროებისამებრ, გაფართოვდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონსულტაციების წარმართვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით - პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების წარმომადგენლებთან, წინამდებარე PCDP მოთხოვნათა შესაბამისად.

ადრეული სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება 2013 წელს CSG2 მისასვლელი გზის სამუშაოებისთვის და ადრეული სამუშაოები სხვადასხვა ადგილებზე გაგრძელდება 2014 წელს. ძირითადი საქმიანობები განხორციელდება 2014 წელს და გაგრძელდება სხვადასხვა ადგილებზე 2018წ.

3.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება


SCPX ESIA განსაზღვრავს პროექტის პოტენციურ ზემოქმედებას ბუნებასა და ახლოს მცხოვრებ ადამიანებზე და დასახლებებზე. ESIA-ს შედეგები საინჟინრო დაპროექტების და გადაწყვეტილების მიღების პროცესს მიაწვდის ინფორმაციას (BP და საქართველოს მთავრობის მარეგულირებელი სააგენტოების საშუალებით) ბუნებრივ და სოციო--ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების და ასევე პროექტთან დაკავშირებული, სენსიტიური საკითხების შესახებ და ხელს შეუწყობს აღნიშნულ უწყებებს, მიიღონ ეფექტური ზომები ზემოქმედების რეგულირების, მართვისა და უწყვეტი მონიტორინგის კუთხით.

SCPX ESIA პროცესი მოიცავს შემდეგს:

- **პროექტის სკრინინგი** (BP მოთხოვნათა შესაბამისად): სკრინინგის მიზანია ძირითადი ეკოლოგიური და სოციალური სენსიტიურობისა და ამ სენსიტიურობაზე პროექტის ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე შესწავლა. სკრინინგის შედეგად ვიღებთ იმ პოტენციურ ზემოქმედებათა პრიორიტეტულ ჩამონათვალს, რომელთა მართვა უნდა განხორციელდეს პროექტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- **პროექტის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა:** SCPX პროექტთან დაკავშირებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს ძირითადი სენსიტიურობების შესწავლა და შესაბამისად, ESIA ანგარიშის მთავარი საკითხების განსაზღვრა. დამატებითი კვლევებისთვის დანაკლისი ინფორმაციის შევსებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით, გადაისინჯა მონაცემთა არსებული წყაროები. ამ ეტაპზე, გაიმართა ინდივიდუალური კონსულტაციები დაინტერესებულ მთავარ სამთავრობო მხარეებთან.

- **ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის შესწავლა:** წინასწარი შესწავლის შედეგების შესაბამისად, მიღებული იქნა ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური პირობების დეტალური აღწერა SCPX პროექტის ზემოქმედების არეალში, მათ შორის - ინფორმაცია კრიტიკული მიმართულებების შესახებ ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოში. ფონური პირობები, ასევე, უზრუნველყოფს ბუნებრივი და სოციალური გარემოს ცვლილების მონიტორინგის საფუძველს პროექტის მოქმედების განმავლობაში. SCPX მილსადენის მარშრუტისა და მიწისზედა ინფრასტრუქტურის ფონური მონაცემების შეგროვების პროცესი განხორციელდა სხვადასხვა სახის საველე კვლევების საშუალებით.
- **ზემოქმედების შეფასება:** SCPX პროექტის პოტენციური ზემოქმედების კომპლექსური შეფასება. აქ შედის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ყოველგვარი ზემოქმედების მასშტაბისა და მნიშვნელობის შეფასება. შეფასების პროცესში დაფიქსირებული, ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, ისეთი ზემოქმედებების ჩათვლით, რომლებიც ეხება განსაკუთრებულად სენსიტიურ ეკოლოგიურ საკითხებს ან სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, განიხილება უფრო დეტალურად. ზემოქმედების შეფასების სამუშაო მოიცავს ერთობლივ და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებებს.
- **ESIA ანგარიშის პროექტი:** ESIA ანგარიშის პროექტი წარედგინა საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიას (GOGC), რომელიც აღნიშნულ პროექტს კომენტარებისათვის გადაუგზავნის სხვა სამინისტროებს, მათ შორის, გარემოს დაცვის სამინისტროს (MoE). გარემოს დაცვის სამინისტრო შექმნის გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფს ანგარიშის პროექტის განსახილველად და მისი საბოლოო ვარიანტის „დასამტკიცებლად“. ESIA ანგარიშის პროექტის ასლები პირდაპირ გადაეგზავნათ მთავარ დაინტერესებულ მხარეებს. დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა საჯარო ადგილებშიც თბილისში, გარდაბანში, მარნეულში, თეთრიწყაროში, წალკაში, ადიგენსა და ახალციხეში, ანუ – იმ ძირითად დასახლებებში, რომლებიც იმყოფება დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ადგილებთან ახლოს. არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომი გახდა განხილვისთვის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების საჯარო დაწესებულებებში. ასევე, ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ფაზაში, შედგა შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, სულ მცირე, თბილისში, რუსთავში, წალკასა და ახალციხეში, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათგან საპასუხო კომენტარების მოსმენის მიზნით.
- **ESIA საბოლოო ანგარიში:** ESIA ანგარიშის პროექტის განხილვის შემდეგ, შემუშავდა ანგარიშის საბოლოო ვარიანტი, რომელშიც, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებული იყო გარემოს დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული აზრები. ანგარიშში დაფიქსირებული იყო საჯარო განხილვის პროცესში მიღებული ყველა კომენტარი და პასუხი, რომლებიც ეხება SCPX პროექტის ESIA-ს და ESIA ანგარიშის პროექტს.
- **დამტკიცება:** ESIA შედეგებზე დაყრდნობითა და შეთანხმების გათვალისწინებით იმის თაობაზე, რომ მიღებული იქნება ზემოქმედების რეგულირების ყველა სათანადო ზომა, საქართველოს სამთავრობო უწყებები მიიღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაიცეს თუ არა შესაბამისი ნებართვები.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები წარმოადგენს ESIA პროცესის განუყოფელ ნაწილს (იხ. სურათი 2).



სურათი 2: ESIA-ს პროცესი

4 კონსულტაციების მიზნები

წინამდებარე PCDP-ს გააჩნია შემდეგი სტრატეგიული და ოპერაციული მიზნები:

- პროექტთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება და მათი ინტერესისა და პროექტის განხორციელებასა და მისი ზემოქმედების რეგულირებაზე მათი გავლენის ხასიათის გააზრება
- დაინტერესებული მხარეებისთვის კულტურულად შესაფერისი, სათანადო და დროული ინფორმაციის მიწოდება პროექტის მიმდინარეობასა და მისი ზემოქმედების შეფასების საკითხებზე
- დაინტერესებული მხარეებისთვის კულტურულად შესაფერისი და დროული შესაძლებლობის უზრუნველყოფა იმისთვის, რომ მათ გამოთქვან საკუთარი აზრი და წუხილი ESIA-სა და პროექტის განხორციელებასთან მიმართებაში და რომ აღნიშნული აზრი და წუხილი აისახოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც შესაძლებელია
- SCPX პროექტის გუნდისთვის დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული კომენტარებისა და მოსაზრებების მიწოდება
- დაინტერესებულ მხარეთა ეფექტური და მასშტაბური ჩართულობის საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან პროექტისა და ზემოქმედებების რეგულირების პროგრამების ხელშეწყობას
- SCP HGA მოთხოვნათა დაცვის ხელშეწყობა
- იმის უზრუნველყოფა, რომ გადაწყვეტილებებში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებული იყოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებები, პრიორიტეტები და პრობლემები
- პროექტის დამტკიცებისა და ნებართვების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარება ან პროექტის/ინფრასტრუქტურის დიზაინის დიდ ხარჯებთან დაკავშირებული გადაკეთების საჭიროების მოხსნა. საკონსულტაციო პროცესი ხელს შეუწყობს პროექტის განვითარებისა და ზემოქმედების რეგულირების შეთანხმებული სტრატეგიის რეალიზაციის უწყვეტობას
- დახმარების გაწევა დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა მათ შეძლონ პროექტის კორპორატიული და ოპერაციული მიზნებისა და მოთხოვნების გააზრება და ირწმუნონ, რომ პროექტს ძალუძს რისკის სათანადო ფორმით მართვა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გაგრძელდება ESIA ანგარიშის პოტენციური დამტკიცების მიღმა. BP ამაზე პასუხისმგებელი იქნება მილსადენის მშენებლობის პერიოდში და, ზოგადად, SCPX პროექტის ფარგლებში, თუმცა ეს იქნება BP-სა და კონტრაქტორის მომსახურე პერსონალის ერთობლივი ძალისხმევა, მუშაობის პროცესის პარალელურად. კონტრაქტორებთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრული იქნება „კონტრაქტორის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმაში“.

ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი დასახლებები და სხვა პროექტის დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იქნებიან SCPX პროექტთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის მექანიზმის შესახებ.

5 ნორმატიული და პოლიტიკური კონტექსტი

წინამდებარე PCDP-ში წარმოდგენილი დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო საქმიანობა შეესაბამება:

- SCP პროექტის ქართულ HGA-ში განსაზღვრულ სტანდარტებსა და მეთოდებს. HGA მოთხოვნები შესაბამისობაში უნდა იყოს:
 - ბუნებრივი აირის მილსადენის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან, რომლებსაც ითვალისწინებს მსგავსი პროექტები
 - მსოფლიო ბანკის სტანდარტებთან და პრაქტიკებთან (ზემოაღნიშნული სტანდარტები არ იქნება გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ სტანდარტებზე უფრო ნაკლებად მკაცრი)
 - EC დირექტივის 85/337/EEC შესწორებულ ვარიანტთან (ევროკავშირის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დირექტივა)
 - საჯარო განხილვებისა და კონსულტაციებისთვის შემუშავებულ მოთხოვნებთან.
- ეროვნულ კანონმდებლობას (რომელიც ESIA კონსულტაციისთვის სპეციფიკურია, გარემოსდაცვითი ნებართვების რეჟიმის ფარგლებში)
- BP პოლიტიკას, (კერძოდ, *გარემოსდაცვითი და სოციალური ჯგუფისთვის განსაზღვრული პრაქტიკა და ჯგუფისთვის რეკომენდირებული პრაქტიკა*).

ბუნებრივი აირის მილსადენის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის განსაზღვრისთვის, SCPX პროექტმა გაითვალისწინა IFC სამუშაო სტანდარტის 1 – „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებისა და რისკების შეფასებისა და მართვის“ მთავარი პრინციპები (თანხმდებ სახელმძღვანელო შენიშვნებთან ერთად)² და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები, პროექტთან დაკავშირებულ კონსულტაციებთან და საჯარო განხილვებთან მიმართებაში.

ESIA პროცედურისთვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ბაზა წარმოდგენილია ESIA ანგარიშის მე-6 თავში. დადგინდა, რომ ზემოთ მოკლედ აღწერილი სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ბაზა მხარს უჭერს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მეთოდებსა და ამოცანებს, რომლებიც წარმოდგენილია ამ PCDP-ს შესავალ ნაწილში (თავი 1), კერძოდ, იმას, რომ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია უნდა ჩატარდეს საფუძვლიანად და გამჭვირვალედ, რათა მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ პროექტის მომზადებისა და რეალიზაციის პროცესში, განსაკუთრებით ESIA კონტექსტში. ამ გზით, მინიმუმამდე შემცირდება უარყოფითი ზემოქმედება ბუნებასა და საზოგადოებაზე, ხოლო მაქსიმალურად გაიზრდება პოტენციური სარგებელი.

² გარდა ამისა, ყურადღება მიექცა იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია IFC (2006) გამოცდილებით მიღებული გაკვეთილები: *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის პროექტი, ნომერი 2, ვაშინგტონ დი-სი*; IFC. აგრეთვე, თუმცა ეს დოკუმენტი უკვე არქივში ინახება, მაინც იქნა გათვალისწინებული IFC *სახელმძღვანელო საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის მოსამზადებლად*. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მიმოხილვის პროცედურის სახელმძღვანელო შენიშვნა F.

6 SCPX დაინტერესებული მხარეები

SCPX ESIA პროცესის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ამომწურავი განმარტებაა გამოყენებული: *ნებისმიერი ორგანიზაცია, პირთა ჯგუფი ან პირი, რომლებზეც შემოთავაზებული წინადადება, რაიმე ფორმით, ახდენს ზემოქმედებას ან რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ პროექტზე*. ამ განმარტების შესაბამისად, სამინისტროები და სამთავრობო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მათ შორის საერთო ინტერესებზე დაფუძნებული სათემო ჯგუფები, ისეთები, როგორიცაა მაგალითად საარსებო წყაროზე დაფუძნებული ჯგუფები) და ცალკეული პიროვნებები, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვ., ყველა განიხილება დაინტერესებულ მხარედ.

ითვლება, რომ ESIA კონსულტაციების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ხასიათი და სიხშირე განსხვავებული იქნება. ამგვარ განსხვავებას ადგილი ექნება პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ESIA კონსულტაციების პროცესის განმავლობაში SCPX ჯგუფი მიზნად ისახავს კონსულტაციების ისეთი ფორმით ჩატარებას, რომელიც შეესაბამება დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებსა და სურვილებს.

6.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის პირველი პრაქტიკული სემინარი ჩატარდა თბილისში 2010 წლის 12–13 ოქტომბერს, ESIA წინასწარი შესწავლის ფაზაში. მასში მონაწილეობა მიიღო SCPX პროექტის პერსონალმა და BP-ს საქართველოს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა. სემინარის მიზნები იყო მთავარი დაინტერესებული მხარეების (სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩათვლით), მთავარი პრობლემების, დაინტერესებულ მხარეებთან ადრინდელი და ამჟამინდელი ურთიერთობების, BTC/SCP–დან და საქართველოში BP–ს მიმდინარე სამუშაოებიდან მიღებული გაკვეთილების იდენტიფიცირება. სემინარის მონაწილეებმა, აგრეთვე, შეიმუშავეს კონსულტაციების წინასწარი სტრატეგია და განრიგი და განსაზღვრეს როლები და პასუხისმგებლობები საკონსულტაციო საქმიანობის დროს.

6.1.1 SCPX პროექტის მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების იდენტიფიკაცია
პრაქტიკულ სემინარზე იდენტიფიცირებული მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები ჩამოთვლილია ქვემოთ და თითოეული მათგანი დეტალურადაა განხილული.

- ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PACs)
- საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება
- მედია
- დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები
- SCPX პროექტის პარტნიორები
- BP პერსონალი.

ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობა

საქართველოს მთავრობა

ცხრილში 1 ნაჩვენებია საქართველოს მთავრობის მხრიდან მთავარი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც პირობითად ორ ჯგუფად იყოფა - ისინი, ვინც ოფიციალურ როლს ასრულებენ ESIA ანგარიშის დამტკიცების პროცესში და ისინი, რომლებსაც გააჩნიათ დადასტურებული ინტერესი SCPX პროექტში.

ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეები საქართველოს მთავრობიდან

1. დამტკიცება	დაინტერესებული მხარეები საქართველოს მთავრობიდან, რომლებიც ასრულებენ ოფიციალურ როლს დამტკიცების პროცესში GOGC - საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროექტებში; HGA-ს შესაბამისად, ESIA ანგარიშის ოფიციალური დამამტკიცებელი; გარემოს დაცვის სამინისტრო - გარემოს დაცვის სამინისტრო შეისწავლის ESIA ანგარიშის პროექტს ('ეკოლოგიური ექსპერტიზა'). გარემოს დაცვის სამინისტროში არის ორი მთავარი დეპარტამენტი: გარემოს დაცვის სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო.
2. კონსულტაცია	დაინტერესებული მხარეები მთავრობიდან, რომლებსაც გააჩნიათ დადასტურებული ინტერესი SCPX პროექტში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო: აქ შედის ბუნებრივი რესურსების სააგენტო (რომელიც მოიცავს სატყეო დეპარტამენტს), გარემოს დაცვის მონიტორინგის ინსპექცია, გარემოს დაცვის საგამოძიებო დეპარტამენტი სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ირიგაციის დეპარტამენტი) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (საგზაო დეპარტამენტი; მდინარეთა დაცვის დეპარტამენტი) იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩათვლით

ადგილობრივი თვითმმართველობა

ჩატარდება კონსულტაციები ESIA პროცესის განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობებთან (დანიშნული თანამდებობის პირები და არჩეული წარმომადგენლები)

- ორ რეგიონში (მხარე): ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი
- ექვს მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტები): გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, ადიგენი და ახალციხე და
- ერთ თვითმმართველ ქალაქში: რუსთავი

რომელთა ტერიტორიებზეც ჩატარდა SCPX მილსადენთან დაკავშირებული სამუშაოები.

ამჟამინდელი ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა ნაჩვენებია ცხრილში 2. დანართი A წარმოადგენს ორგანოგრამას, უფრო დეტალური ინფორმაციით ადგილობრივი თვითმმართველობის იერარქიისა და სტრუქტურის/ფუნქციების შესახებ.

ცხრილი 2: ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა

სამთავრობო უწყებები	არჩეული წარმომადგენლები	დანიშნული წარმომადგენლები
ფედერალური	პრეზიდენტი პარლამენტი	პრემიერ მინისტრი, მინისტრები
რეგიონალური		რეგიონის გამგებელი
თვითმმართველი ქალაქების	ქალაქის საბჭო - საკრებულო	მერი
მუნიციპალიტეტები	საკანონმდებო საბჭო - საკრებულო უფროსი - საკრებულოს თავმჯდომარე	აღმასრულებელი საბჭო – გამგეობა: წევრებს ნიშნავს გამგებელი უფროსი – გამგებელი: საკრებულოსთან შეთანხმებით, ინიშნება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ
ქალაქები*	მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული წარმომადგენელი	რწმუნებული - ინიშნება გამგებლის ან მერის მიერ
ტერიტორიული ორგანო*	მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული წარმომადგენელი	რწმუნებული - ინიშნება გამგებლის ან მერის მიერ

*არათვითმმართველი ქალაქები შედიან მუნიციპალიტეტებში და განიხილებიან ტერიტორიული ორგანოების ექვივალენტებად. ტერიტორიული ორგანო შესაძლოა, შედგებოდეს ერთი სოფლისგან, თუმცა, როგორც წესი მასში გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შემდეგი ორგანოები მოიაზრება მთავარ დაინტერესებულ მხარეებად ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან:

- მუნიციპალიტეტის პოლიციისა და სახანძრო რაზმის უფროსები
- მელიორაციისა და ირიგაციის რეგიონალური დეპარტამენტების უფროსები.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PACs)

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებად განისაზღვრა SCPX მილსადენის გასწვრივ და სამი მიწისზედა დანადგარის (AGIs) მიდამოებში არსებული ორმოცდახუთი ქალაქი და სოფელი. PAC-ის იდენტიფიცირება ხდება შემდეგნაირად (BTC/SCP პროექტების განახლებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით)³.

გამოყენებულია ორი მიდგომა. პირველი მიდგომის მიხედვით, PAC-ად მოიაზრება დასახლება (მუდმივად, დროებით), რომელიც ემთხვევა შემდეგ საზღვრებს ან გააჩნია, თუნდაც ერთი დასახლებული სტრუქტურა, რომელიც მდებარეობს საზღვარზე/საზღვრის ფარგლებში:

- მილსადენის (მათ შორის ჩამკეტი სარქველების, და დგუმის სადგურის): 2 კილომეტრიანი ზოლი ცენტრალური ხაზის ორივე მხარეს, რაც შედეგად გვაძლევს 4 კილომეტრიანი სიგანის ზონას

³ PAC-ების უახლესი ჩამონათვალი 2013 წლის 30 იანვრით თარიღდება.

- მუშათა საცხოვრებელი ბანაკების, საკომპრესორო სადგურებისა და წნევის რეგულირებისა და გაზომვის სადგურების ირგვლივ: ნაგებობის ცენტრიდან 5 კმ რადიუსის ტერიტორია
- მიწების საწყობი ადგილების და სასაწყობე ეზოების ირგვლივ: ეზოს ცენტრიდან 2 კმ რადიუსის ტერიტორია
- მისასვლელი გზების (ახალი, განახლებული დროებითი თუ მუდმივი სარგებლობის): ცენტრალური ხაზიდან ორივე მხარეს, 300 მ სიგანეზე განფენილი ტერიტორია, რაც შედეგად გვამღევს 600 მ სიგანის ზონას.

მეორე მიდგომის მიხედვით, ზემოაღნიშნულ საზღვრებს მიღმა, მაგრამ ახლოს არსებული დასახლება ითვლება (ან არ ითვლება) PAC-ად, გამომდინარე დასახლების დამახასიათებელი თავისებურებების ინდივიდუალური კვლევის შედეგებიდან, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- სიმრავლე კერძო მიწის ნაკვეთებისა, რომლებსაც ფლობს და ამუშავებს ადგილობრივი მოსახლეობა და ამ ნაკვეთების ის ფართობი, რომელიც მდებარეობს ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული საზღვრის ფარგლებში
- სოფლის საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ან სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოყენებულია როგორც სოფლის საერთო საკუთრებაში არსებული ნაკვეთი (იმისგან დამოუკიდებლად, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ექსპლუატაცია ხდება სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის გაფორმებული ოფიციალური თუ არაოფიციალური შეთანხმების საფუძველზე) და მდებარეობს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული საზღვრის ფარგლებში
- მტკიცებულება ზემოქმედების მონიტორინგული კვლევის/საჩივრის სარეგისტრაციო ჟურნალიდან იმის თაობაზე, რომ წარსულში დასახლებულ პუნქტზე ზემოქმედება მოახდინა BTC/SCP პროექტებმა, ან მასთან დაკავშირებულმა ინფრასტრუქტურამ
- ESIA ჯგუფის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, წინა გამოცდილების გათვალისწინებით და ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, არსებობს ლოგიკური ალბათობა იმისა, რომ ადგილი ექნება დასახლებაზე ზემოქმედებას.

SCPX მილსადენი, ზოგადად, SCP და BTC მილსადენების პარალელურია (რამდენიმე ადგილის გამოკლებით, სადაც საჭიროა მარშრუტიდან გადახვევები). ამდენად, SCPX პროექტის PAC-ები BTC/SCP PAC-ების მსგავსია. SCPX მილსადენის PAC-ების ჩამონათვალი მოცემულია დანართში B. აღნიშნული ჩამონათვალი გადაისინჯება და განახლდება საჭიროების შემთხვევაში, თუ დამატებითი მისასვლელი გზების ადგილმდებარეობები დადასტურდება.

PAC-ებთან კონსულტაცია ESIA საკონსულტაციო პროცესის მთავარი ასპექტია. BP ჩაატარებს საკონსულტაციო სამუშაოებს ყველა PAC-თან, ESIA სამუშაოს შესრულებისას და პროექტის ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ფაზაში და, ამდენად, PAC-ებთან ერთობლივი მუშაობა გაგრძელდება SCPX პროექტის განვითარებისა და ექსპლუატაციის პერიოდში. PAC-ები განლაგებულია სხვადასხვა ადგილებში და მნიშვნელოვნად განსხვავდება ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით. PAC-ები დააჯგუფეს, ერთმანეთთან სიახლოვის, მოსახლეობის რიცხვის, გამოყენებული ენის და ლოგისტიკური კრიტერიუმების საფუძველზე (PAC-ების ჯგუფები და კონსულტაციების თარიღები ნაჩვენებია ქვეთავში „საკონსულტაციო შეხვედრები“ დანართში B).

კონკრეტული ჯგუფის თითოეული PAC-ის წარმომადგენლები დაესწრნენ ამავე ჯგუფის სხვა PAC-ების წარმომადგენლებთან შეხვედრას მოსახერხებელ, ცენტრალურ ადგილას.

PAC-ებთან კონსულტაციების პროცესში ჩართულნი იყვნენ „ოფიციალური“ ლიდერები და ხუთი ან ექვსი ადგილობრივი მაცხოვრებლისგან შემდგარი ჯგუფი თითოეული PAC-დან, რომლებიც აირჩიეს იმ მიზნით, რომ წარმოადგინონ განსხვავებული პერსპექტივები და ინტერესები, მაგ. მასწავლებელი, ექიმი/ექთანი, ფერმერი, მეწარმე, ახალგაზრდა პიროვნება და ისეთი ადამიანი, რომელიც, ან რეგისტრირებულია უნარშეზღუდულად, ან ქრონიკულად არის ავად. სულ მცირე ერთი მათგანი მაინც უნდა იყოს ქალი (დანართი D).

საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ESIA პროცესში, გამომდინარე პრობლემის ღრმა ცოდნიდან და/ან მათი ახლო კავშირიდან ზოგიერთ PAC-თან. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც ადრე მონაწილეობა მიიღეს აუდიტისა და მონიტორინგის პროგრამებში და გამოავლინეს აქტიური დაინტერესება BP საქართველოში საქმიანობის პროცესში, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო წრესთან ერთად, განიხილებიან მთავარ დაინტერესებულ მხარეებად. BP-ს წარმომადგენლობას საქართველოში აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, მათ შორის იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესის სფეროს/სფეროების მითითებით, რომლებიც ადრევე ჩართული იყვნენ ან ამჟამად მონაწილეობენ ან არიან დაინტერესებულნი BP-ს საქმიანობით.

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებსაც გააჩნიათ ინფორმაციის გაცვლის რამდენიმე სახის ქსელი / ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის:

- კავკასიის გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (<http://www.cenn.org/wssl/index.php>)
- კავკასიის გარემოს დაცვის რეგიონალური ცენტრი (<http://www.rec-caucasus.org/index.php?lang=en>)
- ევრაზიის პარტნიორობის ფონდი (<http://www.epfound.ge/english/about-us.html>).

არასამთავრობო ორგანიზაციების არსებული შიდა მონაცემთა ბაზები და/ან მათი ქსელები და პარტნიორული კივშირები გამოყენებული იქნა საჭიროებისამებრ, დაინტერესებული მხარის ამ ჯგუფის SCPX პროექტის შესახებ გამართულ კონსულტაციებში ჩასაბმელად.

სამეცნიერო საზოგადოება

BP საქართველოს ამჟამად არ აქვს ფორმალური ურთიერთობა სამეცნიერო საზოგადოებასთან. საერთოდ, ისტორიულად ეს ჯგუფი ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებს BP-ს საქართველოში მოღვაწეობასთან მიმართ.

დაფიქსირდა სამეცნიერო საზოგადოების SCPX პროექტში ჩართვის საჭიროება, რამდენადაც აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებს შეუძლიათ ზოგადი რჩევები და კონსულტაციები გაუწიონ სამთავრობო მარეგულირებელ ორგანოებს ESIA ანგარიშის განხილვის პროცესში.

მიჩნეულია, რომ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი არის ამავე დროს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრიც, ვინაიდან არასამთავრობო

ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევით პროექტებში. სამეცნიერო საზოგადოება ინფორმაციის გაცვლის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის საშუალებით ჩაერთო. დამყარდა ურთიერთობა GOGC-სთან იმ მიზნით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ საკონსულტაციო ღონისძიებებზე მოწვეული იქნან სამეცნიერო საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომელთა ამოცანა იქნება მარეგულირებელი ორგანოებისთვის საკონსულტაციო სამსახურის გაწევა.

მედია

BP-ს აქვს ურთიერთობა მედიის წარმომადგენლებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ BP მიერ ორგანიზირებულ რეგულარულ ბრიფინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებში, საქართველოში კომპანიის საქმიანობის თაობაზე. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდა ამ არსებული არხების საშუალებით. პროცესში ჩართულნი იყვნენ მედიის სხვა წარმომადგენლებიც, ინფორმაციის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის მეშვეობით გავრცელების უზრუნველსაყოფად (ესენი არიან მედიის წარმომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობენ ინფორმაციის გავრცელების ზოგიერთ ორგანიზაციასთან).

დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები

დიპლომატიური მისიები, უცხო ქვეყნების თბილისში განთავსებული საელჩოების ჩათვლით, და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მრავალმხრივი საკრედიტო ინსტიტუტები (IFC და EBRD), წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს. ამ ორგანიზაციებს მიეწოდათ პროექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, მიმდინარე სამუშაოებში მათი ჩართულობიდან გამომდინარე.

SCPX პროექტის პარტნიორები

BP SCPX პროექტის პარტნიორები, ამავდროულად, არიან დაინტერესებული მხარეები SCPX პროექტთან მიმართებაში. ამდენად, მოხდება მათი რეგულარული ინფორმირება და მათთან ჩატარდება პერიოდული კონსულტაციები პროექტის მიმდინარეობის საკითხებზე. როგორც წესი ამგვარი საქმიანობა განხორციელდება პარტნიორთა კვარტალურ კრებებზე.

BP პერსონალი

BP თანამშრომლები წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს SCPX პროექტში, შესაბამისად, რეგულარული ინტერვალებით, მათაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროექტის განვითარების შესახებ.

7 მეთოდოლოგია

ეს ნაწილი აღწერს SCPX პროექტის ფარგლებში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან საკონსულტაციო საქმიანობის მეთოდოლოგიას და განმარტავს მათ დამოკიდებულებას ESIA პროცესთან. კონსულტაციების ეტაპები ილუსტრირებულია სურათი 3.



სურათი 3: ESIA კონსულტაციების ეტაპები

7.1 კონსულტაციის მეთოდები

ESIA დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, კონკრეტული დაინტერესებული მხარის მოთხოვნების შესაბამისად. მიდგომები და განრიგი მოცემულია ცხრილი 3.

ცხრილი 3: კონსულტაციის მეთოდები

დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის ტიპი
ქვეყნის მთავრობა	ორი პირისპირ შეხვედრა გარემოს დაცვის სამინისტროსთან ESIA-ს სხვადასხვა საფეხურზე ერთი პირისპირ შეხვედრა GOGC-სთან ერთი პირისპირ შეხვედრა MoC-თან საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პირისპირ შეხვედრები კონკრეტულ, პროექტის დონის საკითხებზე

დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის ტიპი
ადგილობრივი თვითმმართველობა (მაგ. თანამდებობის პირები რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში და PAC ლიდერები) მუნიციპალიტეტის პოლიციისა და სახანძრო რაზმის უფროსები; მელიორაციისა და ირიგაციის დეპარტამენტების რეგიონალური უფროსები	პირისპირ საკონსულტაციო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა დონეზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებების ჩათვლით (იხ. ქვემოთ) ESIA-ს საჯარო განხილვის შეხვედრები კონსულტაციები გაიმართა ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცესში ESIA-ს საჯარო განხილვის შეხვედრები
პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PACs)	ორი ტიპის პირისპირ შეხვედრები: საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობის წარმომადგენლებთან ⁴ ყველა PAC-დან (დაახლოებით ექვსი თითოეულ PAC-ში, არჩეული და/ან მთავრობის მიერ დანიშნული PAC ლიდერების ჩათვლით) ინტერვიუები PAC მოსახლეობის წარმომადგენლებთან ჩატარდა შინამეურნეოების გამოკითხვის ფორმით. SCPX პროექტის აღქმის, მასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და საკითხების აღრიცხვის მიზნით, გამოიკითხა 1200 შინამეურნეობა. შინამეურნეოების გამოკითხვა ჩატარდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებულია მოსახლეობის იმ ნაწილის აზრი, რომლებიც, ხშირად, არ მონაწილეობენ ოფიციალურ შეხვედრებში (ასეთი შესაძლოა იყვნენ ქალები, უნარშეზღუდული/ქრონიკულად დაავადებული ადამიანები და უმუშევრები). ESIA-ს საჯარო განხილვის შეხვედრები
საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები	ერთი საკონსულტაციო პრაქტიკული სემინარი ჩატარდა თბილისში ESIA-ს საჯარო განხილვის შეხვედრები
სამეცნიერო საზოგადოება	სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაცია გაიმართა მათი არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრებებზე მოწვევით და ESIA-ს საჯარო განხილვის შეხვედრებით
მედია	კონსულტაციები ცენტრალურ და რეგიონალურ მედიასთან ჩატარდა ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცესში, მათი მოწვევით საჯარო შეხვედრებზე

⁴ PAC წარმომადგენლები შეირჩნენ PAC ლიდერებიდან SCPX ESIA ჯგუფის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რათა მიღწეულიყო დაბალანსებული საკონსულტაციო პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა პერსპექტივას. წარმომადგენლებს შორის სხვებთან ერთად შერჩეული იქნა ექიმი, მასწავლებელი, მეწარმე, მიწის მესაკუთრე და ახალგაზრდა ადამიანი; მათ შორის ერთი მაინც უნდა ყოფილიყო ქალი.

დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის ტიპი
BP პერსონალი	იქნა ინფორმირებული და ჩართული სიცხადის უზრუნველყოფაში, რათა თავიდან იქნას აცილებული არარეალისტური მოლოდინები. სპეციალური ყურადღება დაეთმო მომსახურე პერსონალს, რომლებიც მუშაობენ პროექტზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჩათვლით
BP SCPX პროექტის პარტნიორები	მიეწოდებათ განახლებული ინფორმაცია რეგულარულად კვარტალურ შეკრებებზე.

გარდა ამისა, SCPX პროექტის შინაარსი და ESIA-თან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტი გამოქვეყნდა BP-ს ინტერნეტ საიტზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისთვის გლობალურად.

7.2 საინსტრუქტაჟო მასალები და შეტყობინების გაგზავნა

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა დასახლებებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა მიიღონ გასაგები და თანმიმდევრული ინფორმაცია SCPX პროექტისა და ESIA პროცესის შესახებ. SCPX პროექტის ჯგუფმა მოამზადა ინფორმაცია პროექტისა და ESIA პროცესის შესახებ სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის. აქ შედის:

- ილუსტრირებული სათემო საინფორმაციო ფურცელი, რომელშიც მიმოხილულია SCPX პროექტი, და რომელიც გამოიყენება PAC და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესში (საინფორმაციო ფურცლის ასლი ნაჩვენებია დანართში C)
- კითხვა-პასუხის ფურცელი, რომლითაც ისარგებლებენ SCPX პროექტისა და ESIA-ს მომსახურე პერსონალი იმ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, რომლებსაც დასვამენ დაინტერესებული მხარეები (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ცხოვრობენ PAC-ებში) ESIA-ს კონსულტაციებისა და ESIA-ს აღსრულების პროცესში (ფონური კვლევების ჩათვლით).

ილუსტრირებული სათემო საინფორმაციო ფურცელი მომზადდა ქართულ და რუსულ ენებზე (ინგლისურენოვანი ორიგინალის საფუძველზე) და ~25,000 ეგზემპლარი დარიგდა PAC-ებში, კონსულტაციების დაწყებამდე. ეს რიცხვი (25,000) ისე იყო გამოანგარიშებული, რომ ასლების რაოდენობა ყოფილიყო საკმარისი იმისთვის, რომ, სულ მცირე, ორ ოჯახს მიეღო ერთი ეგზემპლარი.

7.3 ESIA ანგარიშის პროექტი: საჯარო განხილვა

ESIA ანგარიშის პროექტი (და საბოლოო ვარიანტები) (და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია) მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. SCP HGA მოთხოვნების შესაბამისად, ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცესს დაეთმო 60 დღე.

საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო 2012 წლის 29 მაისს ნაციონალური, რეგიონული და მუნიციპალური დონის მედიაში განთავსებული განცხადებით (ცხრილი 4), რომელშიც აღნიშნული იყო საჯარო განხილვის პერიოდი (60 დღე); ადგილები, სადაც ხელმისაწვდომი იყო ESIA დოკუმენტები; ძირითადი საჯარო შეხვედრის თარიღი; და გამოხმაურების მიღების მექანიზმი (იხ. დანართი E).

SCPX პროექტის ჯგუფი თანამშრომლობდა BP საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, მასმედიისა და სხვა საინფორმაციო არხების გამოყენების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ESIA ანგარიშის პროექტის შესახებ გამოთქმული კომენტარების გავრცელება და მოპოვება.

ცხრილი 4: ESIA საჯარო განხილვის განცხადებები

გაზეთის დასახელება	განცხადების ენა	დაფარვა
რეზონანსი	ქართული; რუსული	ქვეყნის მასშტაბით
რეზონანსი	ქართული	ქვეყნის მასშტაბით
24 საათი	ქართული	ქვეყნის მასშტაბით
რუსთავის ახალი ამბები	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
რუსთავის ახალი ამბები	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
რუსთავი	ქართული; რუსული	რუსთავი/მარნეული
სამხრეთის კარიბჭე	ქართული;	რეგიონული მასშტაბით - სამცხე ჯავახეთი
თრიალეთის ექსპრესი	ქართული; რუსული	რეგიონული მასშტაბით - ქვემო ქართლი

ESIA პროცესის, ESIA ანგარიშის პროექტის (და დაკავშირებული დოკუმენტაციის) და საკონსულტაციო პროცესის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა შემდეგი მედია საშუალებებით და სხვა მექანიზმებით:

- რეგიონალური და ცენტრალური გაზეთები
- არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
- პროექტთან დაკავშირებული და პროექტის ინტერნეტ საიტები
- SCPX პროექტის, BP საქართველოს ოფისის თანამშრომლებისა და ESIA ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული პრეზენტაციები ESIA პროცესის განმავლობაში ჩატარებული ტექნიკური კვლევებისა და ანალიზის შესახებ
- საინფორმაციო ფურცლები, ბროშურები, პოსტერები, აუდიო და ვიზუალური მასალა.

საჯარო განხილვის ფაზაზე ESIA ანგარიშის პროექტი, არატექნიკური რეზიუმე (NTS) და გამოხმაურების ფორმები ხელმისაწვდომი იყო გარკვეულ საჯარო ადგილებში, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონოდათ საშუალება გაცნობოდნენ ამ დოკუმენტებს და მოეწოდებინათ კომენტარები. ეს ადგილებია:

- GOGC ოფისები
- თბილისის საპარლამენტო ბიბლიოთეკა და რუსთავის მთავარი ბიბლიოთეკა
- SCPX ზემოქმედების ქვეშ მყოფი ორი რეგიონის რეგიონულ მმართველთა ოფისები
- რუსთავის მერის ოფისი
- გარდაბანის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკას, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ოფისები
- შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისები (CENN; REC; ორპუსის ცენტრი)
- BP-ს ოფისი.

PAC-ებისთვის განკუთვნილი ESIA ანგარიშის პროექტის, არატექნიკური რეზიუმეს (NTS) და გამოხმაურების ფორმების ასლები ხელმისაწვდომი იყო ზეგავლენის ქვეშ მყოფი თითოეული ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში; ასევე მილსადენის გასწვრივ და მილსადენის ინფრასტრუქტურასთან და სამშენებლო ბანაკებთან ახლოს მდებარე ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა დასახლებაში გავრცელდა ბროშურა (დანართი F), რომელშიც შეჯამებულია ESIA-ის შინაარსი. NTS, დასახლებებში გასავრცელებელი ბროშურა და გამოხმაურების ფორმა ასევე ითარგმნა რუსულ ენაზე.

ESIA ანგარიშის პროექტი და NTS ასევე გამოქვეყნდა BP-ს ვებსაიტებზე (www.bp.com/caspian და www.bpgeorgia.ge), რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ცხრილი 5: ESIA საჯარო განხილვის განრიგი

ქმედება	განრიგი
ESIA საჯარო განხილვის პერიოდი	29 მაისი – 31 ივლისი
საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გავრცელება მედიაში	29-30 მაისი და 1-4 ივნისი ¹
ESIA ანგარიშის პროექტის, NTS-ის და სათემო ბროშურის მიწოდება ეროვნული, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისა და PAC-ებისთვის	30-31 მაისი
საჯარო შეხვედრები	
თბილისი	19 ივლისი
რუსთავი	20 ივლისი
წალკა	23 ივლისი
ახალციხე	25 ივლისი
საჯარო განხილვის პერიოდის დასასრული	31 ივლისი 2012

¹ მეორე განცხადებაში აღნიშნული იყო თბილისში გასამართი საჯარო შეხვედრის თარიღი და ადგილი.

SCPX ESIA პროექტის გუნდმა უზრუნველყო შემდეგი:

- მასალა გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე (ESIA ანგარიში, NTS და საინფორმაციო ფურცლები ითარგმნა რუსულ ენაზეც). ზოგადი შინაარსის მასალა მომზადდა არატექნიკურ ენაზე, ისე, რომ გასაგები იყოს არასპეციალისტებისთვის;
- გამოქვეყნებული მასალა სრულყოფილად და ზუსტად ასახავდა SCPX პროექტის დადებით და უარყოფით მხარეებს;
- ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდა შეტყობინება გამოქვეყნებული მასალების/ინფორმაციის შესახებ, მათ ჰქონდათ ამ მასალების მიღების საშუალება და მიეცათ საკმარისი დრო იმისთვის, რომ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი აზრები და წინადადებები;
- SCPX პროექტის ხელმძღვანელები დაასრულებენ ყველა ჩასატარებელი სამუშაოს დამტკიცების შიდა პროცედურას მანამ, სანამ ESIA ანგარიშის პროექტში შევა საბოლოო ცვლილებები და პასუხები გაეცემა დაინტერესებული მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებს.

7.4 საჯარო შეხვედრები

HGA და სახელმწიფო მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდა საზოგადოებრივი შეკრებები, სადაც წარმოდგენილი იქნა ESIA-ის შედეგები (ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცედურა) და მოსმენილი იქნა დაინტერესებული მხარეების კომენტარები,

ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში. საჯარო განხილვის დაწყებამდე და საჯარო შეხვედრების დაგეგმვამდე წერილები გაეგზავნა ადგილობრივ მმართველებს. BP-ს საქართველოს ფილიალის სოციალური ჯგუფი დაუკავშირდა მათ, აუხსნა საჯარო განხილვის პროცესი და სთხოვა დახმარება ESIA-ის და სხვა დოკუმენტების რეგიონული და ადგილობრივი ოფისებისთვის მიწოდებაში.

საჯარო შეხვედრები მოეწყო თბილისსა და სხვა საკვანძო ადგილებში პროექტის განხორციელების მთავარი ზონების მახლობლად, კერძოდ, რუსთავეში, წალკასა და ახალციხეში.

საჯარო შეხვედრის დროს SCPX პროექტის ჯგუფმა წარმოადგინა პრეზენტაცია ქართულ ენაზე. წალკის და ახალციხის შეხვედრებზე პრეზენტაცია სინქრონულად ითარგმნა ქართულად, თბილისში მოწყობილ შეხვედრაზე და რუსულ ენაზე წალკასა და ახალციხეში ჩატარებულ შეხვედრებზე. პრეზენტაციაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- შესავალი და შეხვედრის მიზანი
- პროექტის აღწერა
 - პროექტის მიზანი
 - პროექტის კონცეფცია
 - განრიგი
- ESIA პროცესი
- ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შერბილება
- სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილება
- მიწის შესყიდვა და კომპენსაცია
- საჯარო განხილვის სტრატეგია და განრიგი.

პრეზენტაციას მოყვა კითხვა-პასუხის ღია სესია, რომლის დროსაც დამსწრეებს მიეცათ შესაძლებლობა დაუსვან კითხვა პროექტის ჯგუფს. კითხვებზე გაცემული იქნა პასუხები, ჩაწერილი იქნა შეხვედრის ოქმები, რომლებიც მოიცავს ყველა კითხვას და პასუხს.

ქაღალდის პოსტერები და PowerPoint-ის სლაიდები გამოქვეყნდა შეხვედრის დაწყებამდე დამსწრეებისთვის გასაცნობად. პოსტერებზე წარმოდგენილი იქნა პროექტის აღწერის ძირითადი ელემენტები, განრიგი, ბუნებრივი და სოციალური გარემოს კვლევები და შერბილების იერარქია.

7.5 კონსულტაციის პროცესის შეჯამება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილი 6 მოცემულია საქართველოში SCPX ESIA დასრულებული კონსულტაციების შინაარსი ESIA ანგარიშის პროექტის მომზადების და საჯარო განხილვის ფაზაზე, განრიგთან ერთად:

ცხრილი 6: კონსულტაციების შინაარსი და განრიგი

დაინტერესებული მხარე	წინასწარი შეფასება 4 კვარტ. 2010	ESIA კონსულტაცია 3- 4 კვარტ. 2011	ანგარიში ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონურ მდგომარეობაზე (E&S) 2 კვარტ. 2012 ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა 2 კვარტ. 2012
ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობა	შეხვედრები გარემოს დაცვის სამინისტროსა და GOGC-ში	ESIA კონსულტაცია შეხვედრები საკვანძო სამინისტროებში, მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტროსა და MoC-ში. შეხვედრა MoESD-ში პროექტის გაცნობისა და განრიგის გაწერის მიზნით შეხვედრა GOGC-ში, შეხვედრები რეგიონებისა და მუნი- ციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან	ანგარიში ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ (E&S): E&S ფონური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა გარემოს დაცვის სამინისტ- როში, ინფორმირების მიზნით; E&S ფონური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება GOGC-ს საშუალებით ESIA ანგარიშის პროექ- ტის/NTS გამოქვეყნება ცენტრალურ და ადგილობ- რივ პრესაში; ESIA ანგარიშის პროექტის (ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით) GOGC, MoE და MoESD-სთვის გაგზავნა (პრესაში გამოქვეყნებიდან შვიდი დღის ვადაში); MoE, MoENR, MoESD და MoC-თან საჯარო განხილვა MoE მონაწილეობა მთავარ საჯარო შეკრებაზე (ოფიციალური კრება HGA მოთხოვნის შესაბამისად) რეგიონალურ და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობას წინასწარ ეგზავნებათ შეტყობინება

დაინტერესებული მხარე	წინასწარი შეფასება 4 კვარტ. 2010	ESIA კონსულტაცია 3- 4 კვარტ. 2011	ანგარიში ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონურ მდგომარეობაზე (E&S) 2 კვარტ. 2012 ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა 2 კვარტ. 2012
			საჯარო კრებების შესახებ (ხელმძღვანელობაში შედიან მუნიციპალიტეტის პოლიციისა და სახანძრო რაზმის უფროსები; აგრეთვე, სარწყავ-სამელიორაციო განყოფილებების რეგიონალური ხელმძღვანელები) ESIA ანგარიშის პროექტი განთავსდა საზოგადოებრივ დაწესებულებებში; საჯარო განხილვის შეხვედრები თბილისში, რუსთავეში, წალკასა და ახალციხეში
პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება PAC		17 შეხვედრა, რომელიც მოიცავს ყველა 39 PAC- ს (PAC უმრავლესობა თავმოყრილია 2-იდან 5-მდე რიცხვებში) ⁵ 1200 ინტერვიუ ოჯახე- ბის წარმომადგენლებთან	PAC გამგებლები/რწმუნებულები მიწვეულნი არიან საზოგა- დოებრივ კრებებზე მილსა- დენის მიმდებარე ტერიტო- რიებზე. PAC მოსახლეობას ემღევა დასწრების საშუა- ლება დამატებით PAC-ებთან კონსულტაციები მილსადენისა და CSG2 მისასვლელი გზის სამშენებლო ბანაკთან არსებულ PAC-ებთან
